საქართველოს გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის
დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში

2015 წელი

ტელ.: +995 32 272 02 69
ცხელიხაზი 153

საქართველო,
თბილისი, 0114 გულუას ქ. 6

www.moe.gov.ge
esd@moe.gov.ge

სარჩევი

სახელმწიფო კონტროლი 2

დეპარტამენტის სტრუქტურა 3

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა 4

ბიუჯეტი 7

ტექნიკური აღჭურვილობა 8

შესაძლებლობათა გაძლიერება 9

ცხელი ხაზი 153 10

სამართალდარღვევათა სტატისტიკა 11

ინსპექტირების შედეგები 17

რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმა 18

ინსპექტირება 19

პრევენციული ღონისძიებები 25

სახელმწიფო კონტროლი

2015 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა:

- ბრაკონიერობასთან ბრძოლა - ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაცვის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი.

დეპარტამენტის სტრუქტურა

დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს ცენტრალურ აპარატში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და 8 ტერიტორიული სამსახურის მეშვეობით (დიაგრამა 1).

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ და „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონების ამოქმედებასთან დაკავშირებით, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფები - ნარჩენების კონტროლის, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კონტროლის, ექსპრეს-ლაბორატორიის განყოფილებები;

2015 წელს დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება 434 საშტატო ერთეულს.

აქედან, ცენტრალურ აპარატში საშტატო რიცხოვნება შეადგენს - 101 საშტატო ერთეულს, ხოლო ტერიტორიულ ორგანოებში - 333-ს.



დიაგრამა 1. დეპარტამენტის სტრუქტურა, 2015წ.

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა:

ნორმატიული აქტების პროექტები -

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 9 იანვრის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებრვლის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების დებულებების დამტკიცების შესახებ
- „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმების და მათი შევსების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება;
- „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 აპრილის №118 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომზადდა ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები:

- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში არსებული ცხელი ხაზის (სამნიშნა ნომრით - „153“) მომსახურე პერსონალის სამსახურებრივი ქცევის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ბრძანება;

- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი რეგულირების ობიექტების 2014 წლის პირველი ნახევრის შემოწმებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება;
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 14 მაისის N01-13/03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ბრძანება;
- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება.

ბიუჯეტი

"საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის შესაბამისად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დაფინანსებამ **11 800 000** ლარი შეადგინა.



დიაგრამა 2. დეპარტამენტის ბიუჯეტი, 2013-2015 წ.წ.



დიაგრამა 3. ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებლები

ტექნიკური აღჭურვილობა

დეპარტამენტის შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით განხორციელდა გარემოსდაცვითი სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფებისა და ინსპექტორთა რიცხოვნების გაზრდა და სათანადო აღჭურვა:

- მცურავი საშუალებები (კატერები და გასაბერი ნავები) შიდა წყალსატევებზე ბრაკონიერობასთან საბრძოლველად;
- კატარღა შავი ზღვის აკვატორიაში ინსპექტირებისთვის;
- ავარიული ციმციმები ავტომანქანებისთვის.
- სამკერდე ვიდეოკამერები, ვიდეო-რეგისტრატორები, ფანრები, პლანშეტური კომპიუტერები სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისთვის;
- სპეციალური ხელსაწყოები მაღალი რისკის ობიექტების ინსპექტირებისათვის (ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარებით);
- ლაბორატორიული რეაქტივები შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს ლაბორატორიისთვის;

განახლდა დეპარტამენტის ავტოპარკი, თანამშრომელთა უნიფორმა და სპეცტანსაცმელი.

შესაძლებლობათა გაძლიერება

კვალიფიკაციის ამაღლება

გარემოსდაცვითი ინსპექტორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

- დიდი ავარიების პრევენცია (მხარდამჭერი - ჩეხეთის განვითარების სააგენტო, პროექტი „შესაძლებლობების გაძლიერება - დიდი ავარიების პრევენცია საქართველოში“, 21-23 ივლისი, 2015) - დატრენინგდა 13 ინსპექტორი;
- ამავე პროექტის ფარგლებში შესყიდული სპეციალური ხელსაწყოების პრაქტიკული გამოყენების სწავლება (მხარდამჭერი - ჩეხეთის განვითარების სააგენტო, 28 სექტემბერი, 2015) - დატრენინგდა 13 ინსპექტორი.
- ჰიდროენერგიის პროექტების მონიტორინგისა და ინსპექტირების საკითხები (მხარდამჭერი - პროექტი „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA), გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (EIA) და ინსპექტირების საკითხებში“, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და ნიდერლანდების გარემოს შეფასების კომისიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების (GEO/03.06.15) ფარგლებში, 6-13 ნოემბერი, 2015) - დატრენინგდა 5 ინსპექტორი;
- მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის საკითხები (მხარდამჭერი - მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი, PEM Intecus - 25-26 ნოემბერი, 2015) - დატრენინგდა 7 ინსპექტორი;
- ვადაგასული პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა და გატანა საქართველოს ტერიტორიიდან გასანადგურებლად - საქმიანობის პროცესში, ზედამხედველობა და მონიტორინგი (მხარდამჭერი - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტი, 26-30 ოქტომბერი, 2015) - დატრენინგდა 3 თანამშრომელი.
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ელექტრონული სისტემის სწავლება და დანერგვის ღონისძიებები (მხარდამჭერი - სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური, ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, 16 დეკემბერი, 2015) - დატრენინგდა 12 თანამშრომელი.

ცხელი ხაზი 153

დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ (153) შემოვიდა 7707 ზარი:

- **4 800** ზარი - ინფორმაციული ხასიათის, რომელზეც გაეცა შესაბამისი პასუხი;
- **1 523** ზარი - გადამისამართდა კომპეტენციის შესაბამისად;
- **1 384** ზარი - შეტყობინება სამართალდარღვევის თაობაზე, რომლებზეც ტარდება კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

შეტყობინების თემატიკა	რაოდენობა
• მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროს ელექტრონული ჟურნალის დანერგვასთან დაკავშირებით	329
• ტყის კანონმდებლობის დარღვევა	238
• ატმოსფერულიჰაერისდაბინძურება	198
• ნარჩენებით გარემოს დაბინძურება	199
• უკანონო თევზჭერა	86
• სუნის გავრცელება	56
• უკანონო ნადირობა	55
• წყლის კანონმდებლობის დარღვევა	50
• ცხოველთაკანონმდებლობის დარღვევა	33
• წიაღის უკანონო მოპოვება	44
• მიწის კანონმდებლობის დარღვევა	43
• სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა	20
• ხმაური	17
• უკანონო საქმიანობა	7
• დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით	7
• ავარიები/ინციდენტები	2
სულ	1 384

სამართალდარღვევათა სტატისტიკა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2015 წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 10 341 ფაქტი გამოვლინდა. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 9 905 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების – 436 ფაქტი.



დიაგრამა 4. სამართალდარღვევათა დინამიკა, 2013-2015 წ.წ.



დიაგრამა 5. სამართალდარღვევათა დინამიკა თვეების მიხედვით, 2015 წ.



დიაგრამა 6. გამოვლენილ სამართალდარღვევათა დინამიკა რეგიონების მიხედვით, 2015 წ.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

2015 წლის სამართალდარღვევათა სტრუქტურა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ტყითსარგებლობის წესების დარღვევის **1 687** ფაქტი;
- ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის **1 490** ფაქტი;
- თევზჭერის წესების დარღვევის **1 525** ფაქტი;
- ნადირობის წესების დარღვევის **753** ფაქტი;
- სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის **730** ფაქტი;
- წიაღის უკანონო მოპოვების **810** ფაქტი;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების დარღვევის **572** ფაქტი;
- ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის **1 067** ფაქტი;
- წყლის კანონმდებლობის დარღვევის **264** ფაქტი;
- მიწის კანონმდებლობის დარღვევის **252** ფაქტი;
- ნარჩენებით გარემოს დაბინძურების **970** ფაქტი;





- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებების რეგისტრაციის წესების დარღვევის **25** ფაქტი;
- გემებიდან ზღვის დაბინძურების **17** ფაქტი;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევის ან უნებართვო საქმიანობის **101** ფაქტი;
- სხვა დარღვევები - **95** ფაქტი.



დიაგრამა 7. სამართალდარღვევათა დინამიკა, 2015 წ.

სისხლის სამართლის საქმეები

სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე 436 საქმე გადაგზავნილია საგამოძიებო ორგანოებში შემდგომი რეაგირებისთვის. მათ შორის:

- **253** - უკანონო თევზჭერა;
- **133** - ხე-ტყის უკანონო მოპოვება;
- **22** - წიაღის უკანონო მოპოვება;
- **16** - მიწის დაბინძურება-დეგრადაცია, ნაყოფიერი ფენის მოხსნა;
- **7** - უკანონო ნადირობა;
- **1** - გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე საქმიანობა;
- **2** - მდინარის დაბინძურება;
- **1** - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება;
- **1** - ნივთმტკიცების განადგურება.



დიაგრამა 8. სისხლის სამართლის საქმეები, 2015 წ.

ჯარიმა და გარემოსთვის მიყენებული ზიანი

2015 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა **4 032 108** ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა **110 280 571** ლარი, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე - **109 540 893** ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე - **739 678** ლარი.



დიაგრამა 9. დაკისრებული ჯარიმები და გარემოსთვის მიყენებული ზიანი (ლარი), 2013-2015 წ.წ.

უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი

2015 წელს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოვლინდა უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი:

სასარგებლო წიაღისეული			ბიომრავალფეროვნება		
სახეობა		ოდენობა	სახეობა		ოდენობა
• ინერტული მასალა	მ³	128 048,4	• ხე-ტყე, მ.შ.	მ³	9457,5
• საღორღე ნედლეული	მ³	2 199,9	– *სამასალე*	მ³	3 474,8
• ტეშენიტი	მ³	801,0	– *საშეშე*	მ³	5 617,7
• მანგანუმის ნედლი მადანი	ტ	5 098,2	• თევზი	კგ	866,0
• სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენი	ტ	5 934,3	• მურა დათვი	ეგზ	2
• ვულკანური წიდა	მ³	147,1	• არჩვი	ეგზ	1
• ტუფი	მ³	360,0	• შველი	ეგზ	5
• თიხა-თაბაშირი	მ³	108,8	• კურდღელი	ეგზ	5
• კირქვა	მ³	6 041,0	• ფრინველი	ეგზ	44
			• გარეული ღორი	ეგზ	1
			• ნუტრია	ეგზ	1

ინსპექტირების შედეგები

2015 წელს განხორციელდა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) **3 012** ინსპექტირება, მათ შორის, გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა.

რეგულირების ობიექტების გეგმიური შემოწმებები განხორციელდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 2015 წლის 19 მარტის №ი-202 ბრძანებით დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2015 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად;

რეგულირების ობიექტების არაგეგმიური შემოწმებები ხორციელდებოდა დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქალაქეთა საჩივრების, დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე - 153“ შემოსული ინფორმაციების, უწყებების/ორგანიზაციების მომართვების, ავარიული სიტუაციების, ასევე წინა შემოწმების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით.

რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების, პრევენციული ღონისძიებიების განხორციელების მიზნით, ასევე უწყვეტად მიმდინარეობდა **რეგულირების ობიექტების საქმიანობის დათვალიერება-შესწავლა.**

შედეგი:

- რეგულირების ობიექტების ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის **2 962** დარღვევა, მათ შორის, **2 884** - ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, **78** - სისხლის სამართლის საქმე.

რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმა

რეგულირების ობიექტების 2015 წლის შემოწმებათა გეგმის (მინისტრის ბრძანება №ი-202, 19.03.2015) შესაბამისად, გათვალისწინებულ იყო 174 რეგულირების ობიექტის გეგმიური შემოწმება.

2015 წლის განმავლობაში განხორციელდა 168 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება.

6 რეგულირების ობიექტის შემოწმება ვერ განხორციელდა შემოწმების საფუძვლის არარსებობის გამო (გაუქმება).

გეგმიურად შემოწმდა:

- **100** - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების შესრულება;
- **7** - თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულება;
- **9** - სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულება;
- **28** - გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულება;
- **24** - ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმება.

შედეგი:

- **35** რეგულირების ობიექტის შემოწმების პროცესში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა არ გამოვლინდა;
- **121** რეგულირების ობიექტის შემოწმების პროცესში გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა, მათგან, 6 ობიექტის მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამო, საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის, გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს.
- **10** რეგულირების ობიექტის შემოწმების შედეგები დასრულებული არ არის/ მიმდინარეობს მასალების დამუშავება;
- **4** რეგულირების ობიექტის შემოწმება გრძელდება.

ინსპექტირება

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები

წიაღის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, 2015 წელს განხორციელდა 970 ინსპექტირება (შემოწმება, დათვალიერება).

შედეგი:

- **26** ობიექტის შემოწმების შედეგების მიხედვით, ლიცენზიის პირობების დარღვევა არ გამოვლინდა;
- გამოვლინდა ლიცენზიის პირობებისა და წიაღის კანონმდებლობის დარღვევის **962** ფაქტი (წიაღისეულის უკანონო მოპოვების, სამთო სამუშაოების წარმოების პროცესში მიწის გაუვარგისება/ დაბინძურების, საბადოს დამუშავების პროექტის გარეშე მოპოვებითი სამუშაოების წარმოების და სხვა), მათ შორის:
  - **927** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი;
  - **35** სისხლის სამართლის ნიშნების ფაქტი.

გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ, მიმდინარე მონაცემებით, შეადგინა **14 265 803,3** ლარი.

საწარმოების ნუსხა, რომელთა მიმართ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გამო დაანგარიშდა გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (ლარებში)

დასახელება	ლიცენზია	დარღვევის შინაარსი	ზიანი, ლ
შპს სვაია	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიწის დაბინძურება და დეგრადირება	**7 108 262,2**
შპს ანრე 2006	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიწის დაბინძურება და დეგრადირება	**4 125 515,2**
შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიწის დაბინძურება და დეგრადირება	**1 804 432,7**

ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული ანგარიშების, ათვისების გეგმების და სხვა სავალდებულო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის, ასევე წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზით გამოვლენილი დარღვევების გამო, **392** ლიცენზიანტის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმები, რომლებიც განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოებს.

ტყის კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შემოწმების შედეგები

2015 წელს განხორციელდა 12 ტყის კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შემოწმება:

- 10 - სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებულ ზოგიერთ ტყეკაფებზე ტყის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება;
- 1 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება;
- 1 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება, რომელიც შეჩერდა 2014 წელს).

შედეგი:

- **2** - შემოწმების შედეგებით გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- **10** - შემოწმების შედეგებით გამოვლინდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს.

შემოწმებათა პროცესში გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- **1** შემოწმების პროცესში - ტყეკაფის არასწორად გამოყოფა;
- **3** შემოწმების პროცესში - ტყეკაფის გაუწმენდაობა;
- **12** შემოწმების პროცესში - უკანონო ჭრის ფაქტები.

შემოწმებებით გამოვლინდა 3 719,4 კუბ.მ. საერთო მოცულობის უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე. გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 340 499,3 ლარი.

დეპარტამენტის მიერ (ინსპექტირების და სწრაფი რეაგირების ჯგუფების მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესში) გამოვლენილი ტყის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, 2015 წელი

გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა	მათ შორის:		უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე, კუბ.მ.	გარემოსთვის მიყენებული ზიანი, ლარი
	ადმინისტრა-ციული	სისხლის სამართლის ნიშნების		
3 177	**3 045**	**133**	**9 457,36**	**1 682 472,75**

სამონადირეო და თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის პირობების შემოწმების შედეგები

2015 წელს განხორციელდა 9 სამონადირეო მეურნეობისა და 8 (მ.შ., 1 არაგეგმიური შემოწმება) თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმება.

შედეგები:

- **3** - შემოწმების შედეგებით, დარღვევა არ გამოვლინდა;
- **13** - შემოწმების შედეგების საფუძველზე, შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმები, რომლებიც გადაეგზავნა განსახილველად შესაბამის სასამართლოებს.
- **1** - შემოწმების მასალები გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოს შემდგომი რეაგირებისთვის (უნებართვო საქმიანობა).
- 1 - შემოწმება დასრულდა, მიმდინარეობს მასალების დამუშავება.

შემოწმებათა პროცესში გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- **13** შემოწმების პროცესში - ლიცენზიის პირობების დარღვევა;
- **1** შემოწმების პროცესში - გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე სატბორე წყალსაცავის ფუნქციონირება.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კონტრლი

„ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონების ამოქმედებასთან დაკავშირებით, განხორციელდა **51** არაგეგმიური შემოწმება ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღების მიზნით, მათში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირებისთვის.

შედეგი:

- ლაბორატორიული ანალიზისთვის ნიმუშების სინჯები გაგზავნილი იქნა ავსტრიის გარემოს დაცვის სააგენტოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კვლევის ლაბორატორიაში; ლაბორატორიული კვლევები ასევე განხორციელდა საქართველოში არსებული შპს "ხარისხის ლაბორატორია''-ს მიერ.
- წარმოდგენილი გამოცდის ოქმების შესაბამისად, დგინდება, საკვლევი ნიმუშები არ იყო გენმოდიფიცირებული ან შეიცავდა კანონმდებლობით დაშვებულ გენს.

სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია

2015 წელს განხორციელდა ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის **24** ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმება.

შედეგი:

- **5** შემოწმების შედეგებით, დარღვევა არ გამოვლინდა;
- 19 შემოწმების პროცესში - გამოვლინდა ლიცენზიის პირობების დარღვევა;
- 1 - შემოწმების მასალები ასევე გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოს შემდგომი რეაგირებისთვის (ხე-ტყის უკანონო ჭრა).

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები

2015 წელს დეპარტამენტის მიერ **81** რეგულირების ობიექტში განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების, ასევე გაცემული სავალდებულო მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

შემოწმების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნებართვის, დასკვნის პირობების დარღვევებზე კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარების შემდგომ, დარღვევათა აღმოსაფხვრელად, განესაზღვრებათ გონივრული ვადები.

გამოვლინდა **17** საწარმო, რომელიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე ახორციელებდა საქმიანობას.

საწარმოების ნუსხა, რომელთა მიმართ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გამო დაანგარიშდა გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (ლარებში)

დასახელება	ლიცენზია, ნებართვა	დარღვევის შინაარსი	ზიანი, ლ
შპს ჯორჯიან მანგანეზი	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა	საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ძირითადი და დამხმარე საამქროების ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა	**60 472413,6**
სს საქართველოს რკინიგზა	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა	გვირაბის მშენებლობის შედეგად მიწის დაბინძურება და დეგრადირება	**19 140 701,8**
სს საგზაო კომპანია თბილისი	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა	საავტომობილო გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მიწის დაბინძურება და დეგრადირება	**4 726 800,0**

შავი ზღვის დაბინძურებისა და თევზჭერის კონტროლი

შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად:

- განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული **299** გემის ინსპექტირება ნარჩენების აღრიცხვის, შეფასებისა და უტილიზაციის, მ.შ. იზოლირებული ბალასტური წყლების, გამწმენდი დანადგარების მუშაობისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვის მიზნით;
- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებ-ლობისთვის **42** მცურავი საშუალების პასუხისმგებელ პირთა მიმართ გატარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზომები.
- გამოვლინდა გემებიდან ზღვის დაბინძურების **17** ფაქტი. გემის პასუხისმგებელი პირები დაჯარიმდნენ - თითოეული 65 000 ლარით. დაწესდა კონტროლი ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე.

შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელებული რეიდების შედეგად გამოვლინდა თევზჭერის წესების დარღვევის **38** ფაქტი, ჩამორთმეულ იქნა სხვადასხვა სახეობის თევზი და სამართალდარღვევის ჩადენის იარაღები.

პრევენციული ღონისძიებები

მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების შესწავლა

2015 წელს განსაკუთრებული კონტროლი იყო დაწესებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი საამქროების მიმართ - მათ მიერ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვაზე.

რეგულარულად ხორციელდებოდა პრევენციული ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში არარეგისტრირებული (უკანონო) სახერხი საამქროების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

2015 წლის მდგომარეობით, მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი **685** საამქრო. ამასთან, გამოვლინდა **380** ელექტრონულ სისტემაში დაურეგისტრირებელი, უკანონო სახერხი საამქრო.

რეგიონები	სახერხი საამქროები	
	რეგისტრირებული	დაურეგისტრირებელი (უკანონო)
ქ. თბილისი	4	-
მცხეთა-მთიანეთი	9	1
შიდაქართლი	61	11
ქვემოქართლი	2	4
კახეთი	46	10
სამცხე-ჯავახეთი	112	149
იმერეთი	123	49
რაჭა	77	2
გურია	29	4
სამეგრელო-ზ/სვანეთი	120	71
აჭარა	102	64
სულ, 2015 წ.	685	365

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების ხელშემწყობი ღონისძიებების დანერგვას, ამ მიზნით:

განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ინფორმირებას გარემოსდაცვითი ვალდებულებების თაობაზე და ამ გზით - კანონმდებლობის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას:

სახერხი საამქროს ელექტრონული მართვის დანერგვა

- სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესების, მეწარმეთათვის უფრო ხელმისაწვდომი და მარტივი პროცედურების დაწესების მიზნით, დაინერგა **მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების საამქროების ელექტრონული მართვის ონლაინ-სისტემა,** რომელიც განთავსდა სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის პორტალზე - emoe.gov.ge.

  შედეგად, 2015 წლის 1 დეკემბრიდან სახერხი საამქროს მფლობელი ყველა მეწარმე-სუბიექტი უზრუნველყოფს მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღებისა და გადამუშავების პროცესების ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხვას.

- დაინერგა ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტებისა და მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების ინფორმირებისა და ვალდებულებების **შესრულების შეტყობინების სისტემა;**

- **სექტემბერი-ნოემბერი, 2015** - სახერხი საამქროების ელექტრონული მართვის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სახერხი საამქროების მფლობელთათვის საქართველოს ყველა რეგიონში **გაიმართა შეხვედრები და სასწავლო სემინარები;**

ნოემბერი, 2015 – მოეწყო ბრაკონიერებისთვის ჩამორთმეული იმიტატორების - "მანოკების" გამოფენა (დეპარტამენტმა ნადირობის სეზონის გახსნიდან 168 ერთეული ფრინველის ხმის იმიტატორი ე.წ. "მანოკი" ამოიღო).

დეკემბერი, 2015 - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა თევზჭერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით. ცვლილებების მიზანია არსებული რეგულაციების დახვეწა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ხელშეწყობა, რესურსის კვლავწარმოება და მდგრადი გამოყენება.

შეხვედრას ესწრებოდნენ სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და შიდა წყალსატევებზე გაცემული თევზჭერის ლიცენზიის მფლობელები.

ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები